№2217 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

,,ქვედა სიმონეთი-ნავენახევის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,ქვედა სიმონეთი-ნავენახევის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N170 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) 2010-2014 წლებში უზრუნველყოს ქვედა სიმონეთი-ნავენახევის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა;”;

ბ) განკარგულებას დაემატოს შენდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

,,5. 2014 წელს განსახორციელებელი სამუშაოებისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსება განახორციელოს 2014 წელს შესაბამისი წლიური საბიუჯეტო კანონით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.”.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**